... დინჯად, აუღელვებლად, ყოველგვარი ლი...ქნისა და პირმოთნეობის გარეშე განიხილავ...დნენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და ...რიგითი წევრები ერთიმეორის ნაღვაწ-ნაჯა...ფარს. არ დაუმალეს, პირში უთხრეს ერთ...მანეთს ყველა ნაკლი და ზადი. ბევრი საყვე...დური გააგონეს ხელმძღვანელებს, ბევრი მო...სთხოვეს საკუთარ თავსაც.

... იმ საღამოს დარბაზში ყველაზე ხშირად ...ერთი სიტყვა ისმოდა:

... რატომ!

... რატომ ვერ შეამჩნიეს

... რატომ დაგვიანდა

... რატომ დაზიანდა

... რატომ გააცდინა

... რატომ არ გააკეთა

... რატომ შეგვარცხვინა

... გულდაგულ ეძებდნენ საქმის დამაბრკო...ლებელ მიზეზებს, ეძებდნენ მიწისა თუ კა...ცის მეორე სუნთქვას, — იმ გაუმჭღავნებელ ...ძალას, ურომლისოდაც დედა-ბუნებას ჯერ ...არაფერი გაუჩენია.

... უზომოდ მიხაროდა, რომ ჩვენმა სოფელმა ...ასეთი მომთხოვნი ადამიანები გაზარდა, — ...მოურიდებლად სიმართლის მთქმელი ადამი...ანები, და მეც ვიპოვე ის თილისმა, რამაც ...დაუდო სათავე ვაზისუბნის კოლმეურნეობის ...ყველა წარმატებას: სახელი მისი — უმზაკ...ვრო პირდაპირობა...

... რამდენად უფრო ლამაზი იქნებოდა ჩვენი ...წუთისოფელი, რომ ადამის ჩამომავალი ბო...ლომდე მიჰყვებოდეს ამ ნათელ გზას.

... პირფერი სიტყვა სენსა და სატკივარს მა...ლამოდ ვერ დაედება.

... ჯაფისკაცი წინ მიჰყავს მხოლოდ უკმაო...ბის გრძნობას. ეს კარგად იცის ვაზისუბნელმა ...მევენახემ და იმ კაცივით როდი იქცევა, — ...სხვის თვალში ბეწვს რომ ეძებს, საკუთარში ...კი დირეს ვერ ხედავს.

... დამამახსოვრდა ჩვენი ფერმის დედოფ...ლის, — გარჯითაც, გარეგნობითაც, ენა...მზეობითაც მომხიბვლელი კახელი ქალის ...ელენე ჯავახიშვილის სიტყვა:

— წახდენილი საქმე სოროს ეძებს... თუ ...მოგასწრო და მიიმალა, მერე ძნელია მისი ...გამოსწორება. ჩვენთან, კოლმეურნეობაში, ...უკვე შეიქმნა ისეთი საიმედო გარემო, რომ ...კაცს აღარ ეშინია თავისი შეცდომა აღიაროს! ...ერთი უნებური მარცხის გამო სიცოცხლეს ...არ გაგიმწარებენ, ყოველ კრებაზე არ წამო...გაძახებენ, შენ შენი ცოდვები გეყოფა, სხვე...ბის კრიტიკას თავი გაანებეო! იყო წლები, ...როდესაც მთელი სოფელი ენაჩავარდნილი ...იჯდა ამ დარბაზში! არამცთუ კოლმეურნეო...ბის გამგეობას, უბრალო რგოლის ხელმძღვა...ნელს ვერ ეტყოდი სამდურავ სიტყვას; მა...შინვე მტრად გაგიხდებოდა!

... ელენე ჯავახიშვილის ნათქვამს მე ჩემსას ...დავუმატებდი: რამდენ პატიოსან კაცს უცვა...ლა ზნე-ხასიათი ამ შიშმა და ფეთებამ. არცა ...თავის თავს ეძალებოდა, არცა სხვისას...

... როგორც უკვე ითქვა, მღებრიშვილმა მუ...შაობა რომ დაიწყო, ვაზისუბნის კოლმეურ...ნეობას ათასი ჰექტარი ზვარი ჰქონდა. იმ ...დღიდან ცამეტი წელიწადი გავიდა, რატომ...ღაც მეგონა, ახლა ორიათასი მაინც იქნებო...და.

... მღებრიშვილმა თავი გააქნია.

... — მიწამ არ გაგვიშვა... ცამეტ წელიწადში ...მხოლოდ ოცდათოთხმეტი ჰექტარი მივუმა...ტეთ ძველად გაშენებულ ვენახებს. ჩვენ მი...ზნად არც გვქონია სავენახე ადგილ-მამულე...ბის გადიდება...

... გაოცება ვერ დავმალე.

... — შარშან და მგონი შარშანწინ ვაზისუბან...მა ორი ისეთი რთველი გადაიხადა, მთელი ...საქართველო აალაპარაკა! წელიწადში — ათი ...ათასი ტონა! მაშ საიდან ამდენი ყურძენი?!

... — ისევ იმ ძველი მამულებიდან.

... — ქაღალდს ნუ გამაშლევინებ, ჩემო რობი...ნზონ, უფრო გასაგებად მითხარი!

... მღებრიშვილს გაეღიმა. საათს დახედა.

... — ცოტა გრძელი ამბავია, ბატონო კონს...ტანტინე, ახლა კი უნდა მაპატიო, პარტიული ...კრება მეწყება. ხვალ შინმოუსვლელთა ბა...ღიც ვნახოთ და კიდეც ვისაუბროთ.

... არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყოდი, რომ ...ვაზისუბნის კოლმეურნეობამ, როგორც ბრო...ლის სარკემ, ისე ცხადად წარმოაჩინა ყველა ...ის სასიკეთო ცვლილება, რაც ქართულ სო...ფელს მეცხრე და მეათე ხუთწლედმა მოუ...ტანა. არა მარტო სამაგალითო შრომას, სოფელ ვაზისუბანში ღრმად გაუდგამს ფესვი ლამაზად ცხოვრების სიყვარულსაც: სამკერვალო სახელოსნო, ქალთა სალონი, აბანო-საპარიკმახერო,... ყველაზე მეტად თვალში მეცა თავიდან ბოლომდე მოასფალტებული ქუჩები და ორივე მხრიდან ჩაფენილი ბეტონის ღვარსადენები.

... ცოდნის, განათლების, დასვენება-გართობის რამდენი კერა ამშვენებს სოფელს! დიდებული სკოლა, (მისი აშენება რვაასი ათასი მანეთი დაუჯდა კოლმეურნეობას) კულტურის სახლი, კინოთეატრი, სამკითხველო, სტადიონი, საბავშვო ბაგა-ბაღი, ან კიდევ კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში ჩადგმული ორმოცი საბრიგადო სახლი, სადაც მუშაკაცები ყოველდღე უფასოდ სადილობენ, ისვენებენ, ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ.

... პაპანება სიცხეში სულს აქ მოითქვამენ, ...უეცრად მოვარდნილ ავდარსაც ამ ჭერქვეშ ...გადაიკარებენ.

... არ იფიქრო, მკითხველო, რომ ეს სახალხო ...შენობები თუ სპორტული მოედნები ნაუც...ბათევად, მოუშუშებლად ნაგებ-ნაცოდვილა...რი იყოს. ვაზისუბნელები რასაც აკეთებენ, ...ყველაფერს მკვიდრად, საშვილიშვილოდ აკე...თებენ. ამ სიტყვებს გრძნობებს აყოლილი კა...ცი როდი გაიძახის, ხანგრძლივი დაკვირვება ...მალაპარაკებს.

... ორჯერ ვესტუმრე ვაზისუბნის საბავშვო ...ბაგა-ბაღს. ძალიან მომეწონა იქაურობა. ...გარედან შენობა მაინცადამაინც თვალს არ ...გჭრის, მაგრამ პირველსავე დარბაზში შეხვალ ...თუ არა... რა სოფელი, სადაური სოფელი! ...ამგვარად კეთილმოწყობილი სკოლამდელი ...დაწესებულება დიდ ქალაქებში მინახავს ...მხოლოდ. მოპრიალე პარკეტი, წიფლის ხი...საგან მოპირკეთებული კედლები, საძინებელ ...ოთახებში — უმტვერო თოვლივით თეთრი ...ზეწრები და ბალიშისპირები...

... კოლმეურნეობის გამგეობას ფული არ და...უზოგავს, რომ ბავშვების სასწავლო თუ გა...სართობ ოთახებს ყველა საჭირო დგამ-ავეჯი ...და ხელსაწყო ჰქონოდა; ათასგვარი სათამაშო, ...ფერად-ფერადი წიგნი თუ სურათი...

... ამ ერთმა დიდმა გამდელმა ბევრი ძალა ...შემატა სოფელს. თავად მკითხველმა განსა...ჯოს: ვაზისუბნის კოლმეურნეობაში ექვსასი ...ქალის ხელი ტრიალებს, სავალდებულო კაც...დღეები კი მხოლოდ შვიდმა ვერ შეასრულა.

... რა შეედრება იმ სიკეთეს, როდესაც პატარა ...ბავშვის დედა გულდაწყნარებული მუშაობს ...თავის ეზო-კარის გადალმა...

... ამ საბავშვო ბაგა-ბაღის გარდა სხვა რომ ...არაფერი მენახა ვაზისუბანში, მაინც ვიტყო...დი ქვეყნის გასაგონად, — ქართული სოფ...ლის თვალი ხარ, ვაზისუბანო!

... გამახსენდა ერთი წერილი, 1979 წელს ვა...რკიხელმა მასწავლებელმა რომ გამომიგზავ...ნა:

... „ამხანაგო დეპუტატო!

... მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო სო...ფელ დიდველას საბავშვო ბაღის მდგომარე...ობას. პირდაპირ სამარცხვინოა, ისეთ შენო...ბაში ცხოვრობენ ამ სოფლის ყველაზე პა...ტარა მოქალაქენი. დრო-ჟამისაგან დამპალ ...და პირდაღებულ ხის კედლებში ქარი და სი...ცივე კი არა, რატომ უღლიანი ღორი არ ...გაეტევა, ჭერში წვიმა ჩამოდის, მიღრეცილ...მოღრეცილ კიბეებს ალაგ-ალაგ საფეხური ...ჩამტვრა და გაკეთება მიავიწყდათ. მშობ...ლები იცინიან სახლიდან ნალიის კიბე თუ ...არ წამოვიღე, ისე შვილი ვერ მინახავსო! ...ორად-ორი პატარა ოთახი, — ეს არის მთე...ლი სბავშვო ბაგა, სადაც ერთმანეთზე სა...ცოდავად მიჭუჭკულან დიდები და პატარე...ბი. შენობა დიდი ხანია ჩამოწერეს, როგორც ...ავარიული და მხოლოდ ამის შემდეგ, ყოვე...ლგვარი შეკეთების გარეშე, დაუთმეს სბავ...შვო ბაგას. გაჭირვება გვაიძულებს, თორემ ...იქ ბავშვის მიყვანა როგორ შეიძლება!“

... როგორც კი ხელები გამეხსნა, მანქანის ...საჭეს მივუჯექი და დიდველაში გავჩნდი.

... სიმართლე მომწერა მასწავლებელმა. ნალ...ის კიბე ნამდვილად არ დამინახავს დედების ...ხელში, მაგრამ ბაგაში შესვლა მეც ძალიან ...გამიჭირდა.

... ასეთი მომსპარი სახლი ეგნატე ნინოშვი...ლსაც კი არ დაუხატავს თავის მოთხრობე...ბში.

... რახან ჩამოვედი, ბარემ ცოტას კიდევ მი...ვიხედ-მოვიხედავ მეთქი, ვიფიქრე და სოფ...ლის გზას გავუდექი.

... აგერ ვარციხის საბჭოთა მეურნეობის სა...ბავშვო ბაღი.

... ამ ბაღმა უფრო დამაღონა.

... სოფლის კულტურის სახლზე სახელდახე...ლოდ მიშენებული ბნელი, ნესტიანი სად...გომი.

... წლიდან წლამდე მზის ერთი სხივი არ და...ეცემა ოცდაათი ბავშვის საწოლს. კულტურის ...სახლის სცენისაგან ამ სადგომს ერთი თხელი ...კედელი გამოჰყოფს. წარმოიდგინე მკითხვე...ლო, როგორი ძილი და მოსვენება ექნება ამ ...პატარა გოგო-ბიჭებს, როდესაც კულტურის ...სახლში ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი ...წრეების მეცადინეობა გაჩაღდება, ეს წრეები ...კი ყოველდღე მუშაობენ... ბავშვების სასწა...ვლო და გასართობ მოწყობილობას ვინ და...ეძებს, — ნეტა სამყოფი ქვეშაგები მაინც ...ჰქონოდათ. ბალიში კი საერთოდ არ დამინა...ხავს მათ ბარობაზე.

... არც მესამე ბაღმა გამიკეთა გული. აქაური ...მასპინძელი იმდენად უქონელი გამოდგა, — ...ორ სტუმარს ეზოში ორი სკამი გამოგვიტანა, ...მესამე აღარა ჰქონდა, რომ თვითონაც დამჯ...დარიყო, ფეხზე დამდგარი გვესაუბრებოდა, ...არა უშავს, ბატონო, ჩვენ შეჩვეულები ვა...რთო...

... მე კი მგონია, ვინც ქვეყნის სიკეთეზე ფიქ...რობს, ამგვარ სიგლახეს არ უნდა შეეჩვიოს; ...სწორედ ამიტომ გავიხსენე ეს გუშინდელი ...ამბავი.

... რა ღირსეულად ინახავენ ვაზისუბნელები ...ბრძოლის ველზე დაცემულ თანასოფლელთა ...ხსოვნას.

... ქართველ კაცს არ ესწავლება მათი დიდება ...და თაყვანისცემა, მაგრამ ვაზისუბანმა აქაც ...თავისი ლამაზი სიტყვა სთქვა: სოფლის შე...ფენებაზე ფორმეტი ჰექტარი ბაღი გაუშენა ...შინმოუსვლელთა საფიცარ სახელებს.

... მთავარ ხეივანს ორივე მხრიდან სამას ჩვი...დმეტი ტანაყრილი კვიპაროსი ამშვენებს. ხე...ების ძირას ნატიფად გათლილი ქვის სვეტები ...დგანან. თვითეულ სვეტზე — შინმოუსვლე...ლი ჯარისკაცის სურათი და გვარ-სახელი.

... თვითეულ სვეტთან ვაზი აუნთიათ სანთე...ლივით.

... დიდხანს ვერ მოვცილდი ოთხი ძმის, — ...ზაქარიას, გიორგი, ივანე და არჩილ მამისაი...შვილების სურათს. — ომი დაიწყო თუ არა, ...ოთხივე ძმას ერთად დაუძახეს ჯარში. — მი...თხრა მებაღე ვანომ: — არ გასულა წელი...წადი, ოთხი შავი ქაღალდი ზედიზედ მოვიდა ...ოჯახში! ოთხი შავი ქაღალდი! ადამიანი კი ...მაინც გაიძახის, რა ლამაზია ეს ქვეყანაო...

... გამაჩუმა ამ ბერიკაცის გულის კვნესამ. ...სიტყვა ვერ ვუთხარი; სიმართლე მუდამ დი...დი მწუხარების მხარეზე გადადის.

... შინმოუსვლელთა ბაღში ყოველწლიურად ...იმართება გამარჯვების დღესასწაული, — ...ცხრამაისობა. დილიდანვე მთელი სოფელი, ...როგორც ერთი ჭირისუფალი, აქაურობას მო...ეტანება...

... — რომელი ხატის დღეობაზე არ ვყოფილ...ვარ, რა დალოცვის სიტყვები არ გამიგონია, ...რა ლექსები, სიმღერები!.. ასეთი ამბავი კი, ...ამ ხატების წინ რომ ხდება... — ბერიკაცმა ...ქვაში ჩასმულ სურათებს გაჰხედა, თავი ჩა...იქნია და სიტყვა აღარ დაამთავრა.

... მერე კი ისეთი რამ მითხრა, ტანში ამბურ...ძგნა.

... — წმინდა დღეა ცხრა მაისი! ამ დღეს მამა ...შვილს არ გაუწყრება, შვილის ძვირი და აუგი ...არ ითქმება!

... მალე თავმჯდომარეც მოვიდა. მყუდრო კო...რომი მოვძებნეთ და საუბარი გავაბით.

... — საიდან ამდენი ყურძენი? — გამახსენა ...ჩემი გუშინდელი შეკითხვა. მღებრიშვილმა ...და თვითონვე განაგრძო: — ათასი ჰექტარი ...ვენახი კი ჩავიბარე, მაგრამ იმ ათას ჰექტარს ...ორი უბედურება სჭირდა: თითქმის მთელი ...ზვარი საკუთარ ძირზე იყო გაშენებული. ...ასეთმა ვენახმა დიდი მოსავალი არ იცის, ...ავადმყოფობაც მალე ერევა. საჭირო იყო ...ჩვენი ვენახების გაახლება, ნამყენი ვაზის ...ჩაყრა...

... გაახლება!

... მე მგონი, ეგ სიტყვა სრულად ვერ გამოხა...ტავს იმ დიდი ბრძოლის შინაარსს, რაც ვა...ზისუბნელმა მევენახეებმა მეცხრე და მეათე ...ხუთწლედში გადაიტანეს. სინამდვილეში ყვე...ლაფერი თავიდან დაიწყეს და მთელი ზვარი ...ნამყენ რქაწითელს, მწვანეს და საფერავს მი...სცეს.

... ჭარბად იყო გამეჩხერებული ვაზისუბნის ...ვენახები. „ვაზი გვაკლდა იმდენი ძირი, ორა...სი ჰექტარი მამული ვითომ არც გვქონოდეს!“ — მითხრა მღებრიშვილმა.

... არ მეგონა, თუ კახელ კაცს ასე სავალალოდ ...შეუთხელდებოდა ვენახი. უკვე აღარ მიკვირ...და, ის ათასი ჰექტარი რატომ ვერ ათასობდა.

... რობინზონ მღებრიშვილის სასახელოდ უნ...და ითქვას, რომ ეს მეორე ჭირიც მალე მო...აშორა კოლმეურნეობას. მხარში ამოიყენა ...გამოცდილი მევენახეები ავთანდილ როსტი...აშვილი, სოლომონ პაიჭაძე, სამი ვალიკო ...სალომნიშვილი, და სანამ მეჩხერი რიგები ...არ შეავსეს, წელში არ გაშლილან. მათი გა...მორგული, გადაწვენილი, თუ მხარგაგრძელე...ბული ვაზი არასდროს არ გიმტყუნებდა. ...აქაც ის დედაბოძი ედგა კაცის გარჯას, — ...უმზაკვრო პირდაპირობა.

... ვენახების გაახლება-შევსებამ სოფელს დი...დი რთველი მოაყენა კარზე და დიდძალი მი...წაც დაუზოგა.

... ამიტომ იყო რომ შარშან ერთმა კაც-დღემ ...უჩვეულო ფასი დაიდო ვაზისუბანში.

... მევენახეს — ოცი მანეთი შეხვდა,

... ტრაქტორისტს — ოცდაშვიდი მანეთი და ...40 კაპ.

ნახატი ლ. ცუცქირიძისა.

... ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ...მუყაითი მევენახეს თუ ტრაქტორისტს წელი...წადში ორას ოთხმოცი — სამასი კაც-დღე ...ეწერება. ამ ძირითად ხელფასს ბევრნირი ...პრემია და წამახალისებელი ჯილდოც თან ...მოჰყვება.

... ტყუილად როდი ამბობენ აქაურები, ვაზი...სუბანში ხუთასი ვოლგა რომ ჩამოიყვანონ ...გასასყიდად, არც ერთი კოლმეურნე მეორე ...ჯიბეში ხელს არ ჩაიყოფსო...

... თავდაპირველად ეს არაკი უზაკველად ნა...თქვამ ხუმრობად ჩავთვალე, მაგრამ როდესაც ...გერონტი დავითაშვილმა, ნიკოლოზ კანაშვი...ლმა, თამარ ბურდულაძემ, ნოშრევან რევა...ზიშვილმა და ბევრმა სხვამ შემნახველი სა...ლაროს წიგნაკები მაჩვენეს, ორივე ხელი ...მაღლა შევყარე და უსიტყვოდ დავნებდი.

... მომკლა ამ ციფრებმა? არადა სულანაირად ...როგორ გამოვთქვა, რომ მაგალითად ცოლ...ქმარმა თამარ და ვალიკო ბურდულაძეებმა ...შარშან თერთმეტი ათას 30 მანეთი მიითვა...ლეს კოლმეურნეობიდან.

... ეზოკარიდან — ხუთი ათასი მანეთი.

... მოდი და გაუჩუმდი ამისთანა ციფრებს!

... ორი გამრჯე ადამიანის წლიურმა შემოსავა...ლმა თექვსმეტი ათას მანეთს გადააჭარბა.

... ამ ფულების ანგრიშში რომ ვიყავ, ქალ...ბატონმა თამარმა მითხრა:

... — ისიც ჩაწერე პატივცემულო მწერალო, ...რომ ჩემს ოჯახს ბაზარი არ სჭირდება. ხო...რაგი და პურ-ღვინო სამყოფი გვაქვს. სამი ...გოგო ისე გავათხოვე, მხოლოდ საცივის ზა...ფრანა ვიყიდე ბაზარზე!

... მერე ნანას გადახედა, მეოთხე ქალიშვილს, ...და ხალისიანად დაუმატა:

... — ამასაც რომ პატრონს ჩავაბარებ, მაშინ ...ზაფრანაც მექნება!

... ფანჯარასთან მორცხვად თავდახრილი, ისე...თი კოხტა გოგო იდგა, რომ სიტყვა წამცდა:

... — ეს ლამაზი გოგონა შენს ზაფრანას არ ...მოუცდის, თამარ!

... — ჩემი ნანა ცერცეტი ქალი არ გეგონოს, ...ბატონო კონსტანტინე! შარშან ათასი მანეთი ...შემოიტანა ოჯახში.

... — ვენახიდან?

... თამარმა თავი დამიქნია.

... ოქროს მტევანზე?!

... გურჯაანში ჩამოსვლამდე ეგ ორი სიტყვა ...ერთი უბრალო, გაცვეთილი მხატვრული შე...დარება მეგონა, მეტი არაფერი.

... თურმე ნუ იტყვი, უბრალო შედარება კი ...არა, ნამდვილი ოქრო თუ გინდა, ეს მტევანი ...ყოფილა, — დალოცვილი ყურძნის მტევანი.

... მაგონდება ედუარდ შევარდნაძის სიტყვები ...სოფელ ვაზისუბნის შრომის სახალხო დღე...სასწაულზე:

... „ამ ორდენს თითქოს სოფელთან ერთად ...იღებს ქართული ვაზიც, რომელმაც ღირსე...ულად იცის გამრჯე კაცის დაფასება“.

... ამ გულიდან წამოსულმა სიტყვებმა ისევ ...ჩემი სათვალავი კოჭები მომაძებნინა.

... დაფასება და რანაირი დაფასება?!

... 1980 წელი.

... ვალიკო მიხას ძე სალომნიშვილის ოჯახის ...წლიური შემოსავალი—14 ათას 855 მანეთი.

... გერონტი დავითაშვილის — 13 ათას 72 ...მანეთი.

... ნიკოლოზ კანაშვილის — 12 ათას 112 მა...ნეთი.

... ვალიკო რეზოს ძე სალომნიშვილის — 11 ...ათას 7 მანეთი.

... ვალიკო გიგას ძე სალომნიშვილის — 9 ათას ...12 მანეთი.

... ნოშრევან რევაზიშვილის — 13 ათას 329 ...მანეთი.

... ღარიბი ოჯახი ვაზისუბანში მე არ მინახავს. ...სტუმარს ღარიბთან ვინ მიიყვანდაო, შეიძ...ლება იფიქროს ვინმემ, მაგრამ ჩემი წითელი ...ვაშლი ვაზისუბნის ქუჩებშიც კარგად დაგო...რავდა, ჭიშკრის არჩევა არ იცოდა...

... ერთხელ, მგონი, ზედმეტი ცნობისმოყვა...რეობაც კი გამოვიჩინე, ნიკო კანაშვილს ...ვუთხარი:

... — ძალიან მეჩოთირება, ნიკო, მაგრამ ერ...თი რამ მაინც უნდა გკითხო! მისხალ-მისხალ ...ვიცი, საიდან მოდის თქვენი ყველა შემოსა...ვალი. ცოტა ისიც რომ მაცოდინა...

... სანამ ზუსტად მორგებულ, უწყინარ სიტ...ყვას ვიპოვნიდი, კანაშვილმა დამასწრო:

... — რაში ვხარჯავთ? სად მიდის ჩვენი ფუ...ლი? დასამალავი რა გვაქვს! ჩვენ განა მარტო ...ვენახები გავაახლეთ, ბატონო კონსტანტინე, ...— გავაახლეთ მთელი სოფელი! ვაზისუბანში ...1580 კომლი ცხოვრობს, ძველი სახლები კი ...თითებზე ჩამოსათვლელი დარჩა! ფული ...მაცდურია! ხანდახან ისეთ რამეს მოგანდომ...ებს, სიზმარშიც რომ არ გინახავს. ჩემი ...ბიჭები ამას გემოვნებას ეძახიან, ქალაქელებს ...არ უნდა ჩამოვრჩეთო! ახალ სახლს ახალი ...ავეჯი და მორთულობა მოუხდებაო, ახალი ...ჭიშკარი და ახალი ღობე-ყორე დაშენდებაო. ...ის-კი არა, ამას წინათ მეზობელმა შემომ...ჩივლა, მთლად გაგიჟდა ჩემი უფროსი გოგო, ...ახლა შემომიჩნდა, ჟურნალ-გაზეთების და...საწყობად ცალკე მაგიდა უნდა მიყიდო, განა...თლებულ ოჯახებში ასე იციანო.

... — რამდენი ვაჟი გყავს, ნიკო!

... — სამი. მაგათი ბრალია, რომ სახლი დღემ...დე ვერ დავამთავრე. დიდი მომიგიდა საძირ...კველი, თუმცა რა მექნა?! სამი რძალი ცო...ტათი მაინც თუ არ დავაშორე ერთმეორეს, ...— მტრისას! ერთად რომ აკაკანდებიან, ცას ...ჩამოაქცევენ!

... ჩაიცინა და გაჩუმდა. დამელოდა, ვიდრე ...ამ სიტყვებს ჩავიწერდი. მერე ისევ განაგრ...ძო:

... — ბევრი ძროხა და ღორი შევიძინეთ... ახ...ლა ჩვენს სოფელში ყოველ მესამე ოჯახს ...მეწველი ძროხა დაუდის. ამ ათიოდე წლის ...წინათ კი დიდი სამარცხვინო საქმე გვჭირ...და: ოცდათერთმეტ კომლზე ერთი ფური ...მოდიოდა!

... ...რაც შეეხება დაზოგილი მიწის ნაკვეთებს, ...ვაზისუბნელებმა იმათაც კარგად მოუარეს. ...მოთა ეცადაშვილი გორელი კაცი იყო. გო...რელი კაცი კი სადაც არ უნდა წავიდეს, ვაშ...ლის სიყვარულს ვერ შეელევა. ქართლის ძვი...რფასი ხილი ეცადაშვილმა შეაყვარა ვაზის...უბნელებს, მაგრამ ეგ არ იყო ბრმა სიყვ

ნიასწყალზე

ზოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ ფრთაზე მდებარე ახალი დაბის — ნიას ქუჩას. რკინიგზელთა ეს პატარა ქალაქი საქართველოს წარმოგზავნილებმა ააშენეს.

ამიერკავკასიიდან უსტ-კუტში ისინი ოვიქმის შვიდი წლის წინათ ჩამოვიდნენ. აქედან ისინი უგზოობაში აღმოსავლეთისაკენ უნდა გასულიყვნენ, ჩრდილოეთის ტრანსკიმბირის 102-ე კილომეტრზე. მათ ლენა გადაიარეს და მდინარე ნიას ნაპირას, ასწლოვან ხეებს შორის დასცეს კარვები და საფუძვლიანად, საქმიანად შეუდგნენ სუსხიანი მხარის ათვისებას.

დღეს კი ლენისპირა ტაიგაში მაგისტრალის ყველაზე ლამაზი დაბა დგას. „საქბამმშენის“ მატარებლის უფროსთან ანზორ დვალიშვილთან ერთად მივაბიჯებთ მოასფალტებული ქუჩით.

— ეს პირველი ასფალტია ბამზე, — ამაყად მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

ა. დვალიშვილი ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის მშენებლობაზე მუშაობდა, საბჭოთა საეციალისტების ჯგუფს მეთაურობდა ირანში უზარმაზარი მაცივრის აგებისას. და აი, მშენებლისა და ორგანიზატორის მთელი თავისი ნიჭი მოსახმარია აქ რკინიგზელთა დაბის მშენებლობას. ქალაქმა საკმაოდ დამრეცი, მაგრამ მოსახერხებელი ფერდობი დაიკავა მდინარე ნიას პირას და უკან დაახევინა ულრან ტაიგას. ქართველმა მშენებლებმა წინადადება წამოაყენეს რუსთაველის სახელი მიენიჭებინათ დაბის ზემო ქუჩისათვის.

ხალხი უკვე შესახლდა ჩინებულად ნაგებ ორ, ოთხ და ხუთსართულიან ქვითკირის სახლებში. ფანჯრები სამმინანია — ზამთარში აქ ძლიერი ყინვა იცის. ხალისიან გუნებაზე აყენებს ადამიანს დეკორატიული საბრჯენი კედლები, ფერდობებზე შეფენილი ფართო ქვის კიბეები, აივნების ატურული ხის მოაჯირები. ამოქმედდა წყალსატარი, მძლავრი საქვაბე, თბოტრასა, კანალიზაცია, საწმენდი ნაგებობანი, აბანო და სკოლა.

— ობიექტებს გრაფიკის გასწრებით ვაბარებდით, მაგრამ მთავარი ჩვენთვის მაინც მუშაობის ხარისხი იყო, — ამბობს ინჟინერი ო. გაჩეჩილაძე.

მართლაც ნამუსიანად გაისარჯნენ ო. დაბრუნდაშვილის, ნ. ოპარინის და სხვათა ბრიგადები. მშენებლებმა ამ დაბას ჭეშმარიტი ოსტატების შრომა და სული ჩააქსოვეს. მუშაობს დეკორატიულ-გამფორმებელი საამქრო. ქვის მომჩუქურთმებლებმა, ქვის მთლელებმა, ლითონმჭანდაკებლებმა, მხატვრებმა შენობების მოპირკეთებისას ლაზათიანად გამოიყენეს თავისებური ქართული ერნაჯული სტილის ელემენტები. მგზავრებს ხიბლავს ლამაზი ადგილობრივი ვაგზალი.

ახლა მზიური რესპუბლიკის წარმოგზავნილნი ტოვებენ მათთვის მშობლიურ ნიას. გასამგზავრებლად ემზადება მორიგი რაზმი. მგრამ მაღლიანი ამიერკავკასიისაკენ კი არა, აღმოსავლეთისაკენ მიდის მათი გზა, იქ, სადაც ჩიტის ოლქი იაკუტიის ესაზღვრება. იქ, კოდარის ქედის ძირში, რომელშიც გვირაბი გაიკვლის, დაბა იკაბიუ უნდა აშენდეს.

ვ. ერმოლაევი,
(„პრავდის“ კორ.).

დაბა ნია,
ირკუტსკის ოლქი.

„პრავდა“, 1981 წ. 2.XII.

წერილი რედაქციას

ჩემი მაღლობა

დიდი ინტერესით ვკითხულობ იმ უნიკალურ მასალას, რომელსაც გაზეთი „კომუნისტი“ საკვირაო ნომრებში აქვეყნებს.

განსაკუთრებით ამაღელვა ჩემი მშობლების ივანე - და ტასო მაჩაბლების ჩემთვის უცნობი წერილების აღმოჩენამ. ის ეპისტოლარული მასალა, რომელიც ჩემთან ინახებოდა, თავის დროზე ლიტერატურულ მუზეუმს გადავეცი, მათ შორის ჩემი მშობლების მიმოწერაც მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან. გურამ შარაძის მიერ ინგლისში აღმოჩენილი წერილები დიდად საინტერესოა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობისათვის. ჩემთვის კი ეს წერილები ისეთივე ძვირფასია, როგორც შორეული საყვარელი ხმების ხელახლა გაგონება. დიდად მახარებს, რომ ახალგაზრდა მეცნიერები ასე სათუთად და ასეთი სიყვარულით ეკიდებიან ამ მასალას და ცდილობენ შთამომავლობას შემოუნახონ იგი.

როგორც ცნობილია, მამაჩემმა მეტად მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ამოკვეთეს სამი ნეკნი, რომლებიც დღემდე ჩემთან ინახება. პატივცემულმა შარაძემ მათ სანაწილე უწოდა. რასაკვირველია, მამაჩემი წმინდანი არ იყო, მაგრამ ერთი წმიდა გრძნობა კი ასულდგმულებდა მთელი თავისი მოკლე და მშფოთვარე ცხოვრების მანძილზე. ეს იყო საქართველოს ერთგული სიყვარული და უზომო სურვილი მის სასიკეთოდ მოეხმარა მთელი თავისი ნიჭი და გონება. დღეს ივ. მაჩაბლის ღვაწლი დიდად დაფასებულია და თუ წერილის ავტორის აზრი განხორციელდა, ამ დიდ დაფასებას მაღლი მოესხმება.

ელენე ივანეს ასული მაჩაბელი-ჩერქეზიშვილი.

ახალი ჟურნალები

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 11

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება წერილით: „გავაუმჯობესოთ ქართული ჩაის ხარისხი“, რომლის ავტორია საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსი ე. მალაზონია; პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებას ეხება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ბოდოკის წერილი.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე წერილები: ე. მაისურაძის — „წიწილების მოვლა-გამოზრდა ოჯახურ პირობებში“, რ. ჩირიკაშვილის — „მეფრინველეობის საშიში მტერი“, ე. ხაჭაპურიძისა და პ. წერეთლის — „მეღორეობის ინტენსიური განვითარებისათვის“, ა. მარკანიშვილის — „ფართოდ დავნერგოთ თუთის ჰიბრიდული მეთესლეობა“ და სხვა მასალები.

„განთიადი“ № 5

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი ქუთაისის განყოფილების ლიტერატურული ალმანახის „განთიადის“ მე-5 ნომერი.

ჟურნალში წაიკითხავთ ტარიელ ჭანტურიას, დოდო ჭუმბურიძის, დინარა ფორჩხიძის, დალი სვანაძის, ეთერ ყორეოლიანის, მზია კაჭკაჭიშვილის, იზა ჯაჯვაძის, ბაია ბოჭორიშვილის, გულიკო დვალის, დუშა სანიკიძის, მარინე ხმალაძის, მზია ლაღიძის, გივი იობიძის, თემურ შიმშილაშვილის ლექსებს, ანა ახმატოვას ლექსებს, რომლებიც ნანა ოვიეფაძემ თარგმნა, ლადო მრევლიშვილის რომანს „ოლოლების“ დასასრულს, ვიქტორ კახნიაშვილის „ოთხრობებს.

ჟურნალს აქვს განყოფილებები „ხუთწლედის მხარდამხარ“, „კრიტიკა და პუბლიცისტიკა“, „ახალი წიგნები“ და სხვა.

მესამედ...

ფუალტუგოში დამთავრდა ვახტანგ ჭარსელაძის საკავშირო მემორიალი. შეჯიბრების ბოლო, მეთხუთმეტე ტურში ერთი პარტიის გარდა, ყველა ყაიმით დამთავრდა. გია გიორგაძემ მოუგო გ. ბაღათუროვს. დაზავდნენ გუფელდ-ნონა გაფრინდაშვილი, გიპსლის-გურგენიძე, ვასიუკოვუბილავა, გედევანიშვილი-ზაინიკი, სტურუა-ერმოლინსკი, ანიკაევ-პაატა გაფრინდაშვილი.

ბ. გურგენიძემ 9,5 ქულა დააგროვა და პირველ ადგილს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციული შეჯიბრება რიგით მეექვსე იყო და გურგენიძემ უკვე მესამედ მოიპოვა პირველი ადგილი. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: II. ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — 9 ქულა, III-VI. ზ. სტურუა, ა. გიპსლისი (რიგა), ა. ჩერნინი (ხარკოვი) და ი. ანიკაევი (ნიკოლაევი) — 8-8, VII-VIII. ე. უბილავა და ე. გუფელდი — 7,5-7,5, IX-X. გ. ზაინიკი და გ. ბაღათუროვი — 6,5-6,5, XI-XII. ა. ერმოლინსკი (ლენინგრადი) და პ. გაფრინდაშვილი — 6-6, XIII. ნონა გაფრინდაშვილი— 5,5 XIV-XV. გ. გიორგაძე და დ. გედევანიშვილი — 4,5-4,5 ქულა. ტურნირის საზეიმო დახურვა მოეწყო სანატორიუმ „ცენტროსოიუზის“ საკონცერტო დარბაზში. აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრება ჩინებულად იყო ორგანიზებული.

რ. თავარიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

„ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ვაჟთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. სათვალავით ამ მეთხუთმეტე შეჯიბრებაში ამჯერად მონაწილეობას მიიღებენ იუგოსლავიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ესპანეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები. ასპარეზობა 10 დეკემბერს დამთავრდება. მანამდე გაზეთის პრიზს ათჯერ დაეუფლა სსრ კავშირის ნაკრები, ორჯერ — უნგრეთის კოლექტივი. ზარდა ამისა, ამ ჯილდოს თითოჯერ ფლობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ხელბურთელები.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ტელევიზია

4 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — საგელევიზიო მრავალსერიანები მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“. მესამე სერია, 11.50 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“, 12.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავგოგოფი ცაში“, 13.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 13.30 — საესტრადო კონცერტი — „შენ გიმღერ, ჩემო საამობლოვ“ — ახალგაზრდა შემსრულებლთა ბიჭვინთის ფესტივალი, 14.35—საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელიწადის დრონი“, 15.05 — „იავნანა“ — საგელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 16.00 — დოკუმენტური ფილმი „დიდი სამამულო“ — „ბრძოლა მოსკოვისათვის“, 17.05 — მოსწავლეთათვის კონცერტი (კასპის 1-ლი საშუალო სკოლა), 17.25 — მოკლემეტრაჟიანი საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ქერათმიანი ქალიშვილი“, 17.55 — მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა განადგურების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის გრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენების დროს — „მოამბე“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — საგელევიზიო მრავალსერიანები მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“. მეოთხე სერია, 24.00 — ახალი ამბები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

პრემია 2500 მანეთის ოდენობით სამ წელიწადში ერთხელ მიენიჭება ლიტერატურათმცოდნეობის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომისათვის.

პრემიის მოსაპოვებლად, ჩვეულებრივ, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა ნაშრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეცემათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითს, სამეცნიერო-პედაგოგიურ და სხვა დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ. საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებს პრემიის მოსაპოვებლად გამონაკლისის სახით შეუძლიათ წარმოადგინონ რესპუბლიკის გარეთ შესრულებული ნაშრომი. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წინა სამი წლის შრომების წარმოდგენა, მაგრამ ისინი გამოცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნებამდე სულ ცოტა ექვსი თვით ადრე.

პრემიის მოსაპოვებლად არ შეიძლება ისეთი ნაშრომების წარმოდგენა, რომლებსაც მინიჭებული აქვს ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების და დარგობრივი აკადემიების პრემიები.

პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომს წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ორგანიზაციებს ან სათანადო დარგის წამყვან მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

საყოველთაოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი გამოქვეყნებული ნაშრომი სამ ცალად; წარდგენება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დასაბუთებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;

მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი);

ცნობა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული სხვა პრემიები.

მასალები პრემიების მოსაპოვებლად ერთი თვის განმავლობაში, დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოგზავნოს მისამართით: 380008 თბილისი, რუსთაველის პრ. 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი

აცხადებს, რომ 1981-82 სასწავლო წელს სტუდენტთა სალექციო-ლაბორატორიული და საბამოცდო სესია მოეწყობა შემდეგ ვადებში:

მექანიზაციის და ტექნოლოგიის ფაკულტეტის I-II-III-IV V-VI კურსის და სუბტროპიკული ფაკულტეტის IV-V-VI კურსისა — 4 იანვრიდან.

სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის I-II-III კურსის სალექციო-ლაბორატორიული და საგამოცდო სესია, აგრეთვე ახლად ჩარიცხული სტუდენტთა მიმოხილვითი ლექცია მოეწყობა 1982 წლის 19 თებერვლიდან.

სტუდენტის მიერ შესრულებული საკონტროლო და საკურსო სამუშაოს სარეცენზიოდ მიღებას „ათედრა შეწყვეტს სესიების დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

ფასიანი გამოძახების ცნობით სარგებლობს ის სტუდენტი, რომელმაც სესიის დაწყებამდე 10 დღით ადრე ჩათვალა საკონტროლო დავალება და სარეცენზიოდ გადასცა საკურსო სამუშაო (გეგმარი) კათედრას. ფასიანი გამოძახების ცნობის სტუდენტი მიიღებს (პირადად) დაუსწრებელი სწავლების დეკანატში სესიების დაწყებამდე.

სალექციო-ლაბორატორიულ სესიაზე გამოცხადებული სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს: ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (კოლმეურნეობის წევრმა—შემცვლელი საბუთი), რომელიც შემოწმებული იქნება საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, დახასიათება, ცნობა, რომელშიც (თუ სტუდენტს არა აქვს მუდმივი ხელფასი) აღინიშნება სტუდენტის მიერ უკანასკნელი 12 თვის გამომუშავება, კოლმეურნეთათვის შრომის საკალდებულო მინიმუმი (აღნიშნული ცნობები დამოწმებული უნდა იყოს შტამპითა და ბეჭდით).

სტუდენტი, რომელიც ვერ გამოცხადდება შეკრებაზე სხვადასხვა მიზეზის გამო, ვალდებულია დეკანატს აცნობოს ეს განცხადებით (სათანადო ცნობის თანდართვით) შეკრების დაწყებამდე 1 კვირით ადრე. დაგვიანებულ განცხადებას დეკანატი არ განიხილავს.

დაუსწრებელი სწავლების დეკანატი.

საქართველოს სოციუზრუნველყოფის სამინისტროს ქუთაისის სასწავლო საწარმო

აცხადებს ინვალიდთა კურსებზე მიღებას 1982 სასწავლო წლისათვის

კურსებზე მიიღებიან 16-50 წლის ასაკის ყველა კატეგორიის ინვალიდ-პენსიონერები და არაპენსიონერებიც, რომლებსაც ინვალიდობის რომელიმე ჯგუფი აქვთ მიკუთვნებული, გარდა I ჯგუფისა. ინვალიდები უნდა მოაღწევინონ დასავლეთ საქართველოს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებმა.

კურსებზე მიიღებიან შემდეგ პროფესიებზე:

1. რადიო-ტელევიზორების შემკეთებელი — სწავლების ვადაა 1 წელი, სწავლა დაიწყება 1982 წლის 1 იანვარს.

2. მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის მკერავები — სწავლების ვადაა 1 წელი. სწავლა დაიწყება 1 იანვარს.

3. მდივან-მემანქანეობის შემსწავლელი — სწავლების ვადაა 1 წელი, სწავლა დაიწყება 1 იანვარს.

4. საყოფაცხოვრებო ელექტრომექანიკური ხელსაწყოების შემკეთებლები — სწავლების ვადაა 6 თვე. სწავლა დაიწყება 1 იანვარს და 1 ივლისს.

5. საანგარიშო (საბუღალტრო) სპეციალობაზე — სწავლების ვადაა 1 წელი. სწავლა დაიწყება 1982 წლის 1 სექტემბერს.

რადიო-ტელევიზორების, საბუღალტრო და მდივან-მემანქანეთა კურსებზე მიიღებიან ინვალიდები, რომელსაც აქვთ საშუალო განათლება, ხოლო დანარჩენ კურსებზე არასრული განათლების მქონე ინვალიდები.

რადიო-ტელევიზორების, ტანსაცმლის სამკერვალო, მდივან-მემანქანეთა და საყოფაცხოვრებო ელექტრომექანიკური ხელსაწყოების შემკეთებელ კურსებზე 30 დეკემბრამდე, ხოლო საბუღალტრო კურსებზე 1982 წლის 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე უნდა წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება დირექტორის სახელზე;

2. შუამდგომლობა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან;

3. საექიმო, შრომითი-საექსპერტო კომისიის დასკვნა არჩეულ პროფესიაზე სწავლისა და შემდგომი მუშაობის შესახებ;

4. განათლების მოწმობის ასლი, დამტკიცებული ნოტარიუსის მიერ;

5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი;

6. ავტობიოგრაფია და 2 ცალი ფოტოსურათი (3×4-ზე).

კურსებზე ჩარიცხულ ინვალიდებს სწავლის პერიოდში პენსიის გარდა მიეცემათ სტიპენდია თვეში 25 მანეთი. რაიონებიდან მოვლინებული ინვალიდები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებელი ბინით.

მისამართი: ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. № 37.
ტელეფონი: 5-46-36 და 5-22-38.

დირექცია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის სასწავლო-საკურსო კომბინატის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა

აცხადებს მიღებას 1981-1982 სასწავლო წელს

სკოლა ამზადებს მეფუტკრე და მეცხოველე ტექნიკოსებს.

სკოლაში მიიღებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გაერთიანებების მეცხოველეობის ფერმების პრაქტიკოსი გამგეები, ბრიგადირები, მეცხოველეობასა და მეფუტკრეობაში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო და არასრული საშუალო განათლება.

სკოლაში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და კომუნალური მომსახურებით.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად სკოლაში მივლინებულებს კოლმეურნეობებში დაერიცხებათ თვეში 20-25 კაცდღე და მიეცემათ ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში. ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებიც გარანტირებულ ანაზღაურებაზე არიან, მისცემენ შესაბამის ანაზღაურებას თვეში 45-50 მანეთის ოდენობით.

საბჭოთა მეურნეობიდან და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან სკოლაში წარმოებას მოწყვეტით მივლინებულ ახალგაზრდებს აუნაზღაურდებათ იმ თანამდებობის განაკვეთის 50 პროცენტი, რომლის დასაკავებლადაც ემზადებიან.

სკოლაში მიღება ხდება უგამოცდოდ.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან გაერთიანების შუამდგომლობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოსურათი. პასპორტი ან მისი შემცვლელი საბუთი და სამხედრო ბილეთი თან უნდა იქონინონ.

საბუთები მიიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე კვირადღის გარდა.

სწავლა დაიწყო 23 ნოემბერს.

სკოლის მისამართი: ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. № 34. სასწავლო-საკურსო კომბინატის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ტელეფონი: 2-27-02.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთა 1-თვიან მოსამზადებელ კურსებზე.

მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 15 დეკემბერს.

კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე. კურსებზე ჩასარიცხად უნდა წარმოადგინოთ განცხადება რექტორის სახელზე და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 15 დეკემბრამდე ყოველდღე. გარდა კვირისა, 13-დან 18 საათამდე, ოთახი № 265.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, დიღომი, სამხედრო გზის მე-13 კმ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ავტობუსი № 54 — მეტროს სადგურ „დიდუბიდან“ და № 27 — უცხო ენების ინსტიტუტიდან საბურთალოს გავლით.

საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა, საცხოვრებელი სახლების მფლობელთა საყურადღებოდ!

ზამთრის თბობის სეზონი ხანრეების მხრივ წელიწადის ყველაზე საშიში პერიოდია.

ბევრი ხანძარი ჩნდება გასათბობი ხელსაწყოების უწესივრობის, საკვამლე მილების ჭვარტლისაგან გაწმენდაობის, ასევე ელექტროგასათბობი ხელსაწყოების არასწორი ექსპლოატაციის შედეგად.

მოქალაქეებო!

თქვენზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ერთხელ კიდევ შეამოწმეთ, ყველაფერი გააკეთეთ თუ არა იმისთვის, რათა თავიდან აიცილოთ ხანძარი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სახანძრო დაცვის სამმართველო;
საქართველოს მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

გრძელდება მონადირეთა რეგისტრაცია

გრძელდება მონადირეთა რეგისტრაცია. მონადირე, რომელიც არ გატარებულა რეგისტრაციაში, ვალდებულია წარმოადგინოს მონადირის ბილეთი და მოლიციის მიერ გაცემული ნებართვა.

მონადირე, რომელიც არ გავლის რეგისტრაციას 1982 წლის პირველ იანვრამდე, მექანიკურად გარიცხება „მონაკვეშირიდან“ და ჩამოერთმევა თოფი.

რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 9-დან საღამოს 6 საათამდე, მაჩაბლის ქუჩა, 16. ტელეფონი: 99-91-79; 99-57-34.

თბილისის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობა.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

7 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 17.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „როცა სიტყვა მესმის“, 17.30 — განცხადებები, 17.35 — უმცროსკლასელთათვის — „ვიწყებთ ლაპარაკს რუსულად“, 18.05 — „თქვენთვის, პაგარებო! — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები“, 19.10 — „ჩვიდმეტი ძირითადი“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — საერთაშორისო ჟურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. საქართველოსა და ფილიპინეთის ნაკრები გუნდები. მეორე ტაიმის რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან, 21.00 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ ისტორიულ-პუბლიცისტური კინოეპოპეა „ყველაზე ძვირფასი“, ფილმი მეორე (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანოების შექმნის 60 წლისთავის გამო. საგელევიზიო მრავალსერიანები მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი“ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.10 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 17.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იბარე, თეორო ლუმფარავ“, 18.00 — მასწავლებლის საათი — ხაზვა, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ჩემი არდადეგები“, „არავისი“, 19.40 — — განცხადებები,

8 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანოების შექმნის 60 წლისთავის გამო — საგელევიზიო მრავალსერიანები მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“. მეხუთე სერია, 11.45 — საგელეკვიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ კუზნეცოვი“, 12.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — აბიგურიენტებთათვის — ქართული ენა, 13.30 — „ბავშვებისა და ახალგაზრდობის“ — ინფორმაციული ფილმი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ქ. ლორთქიფანიძე, „ოქროს მგეგვანი“, 14.27 — სცენები ვერდის ოპერებიდან ჯ. სიმონოტოს მონაწილეობით, 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.), 17.15 — მოსწავლეთათვის. „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“ — მარი კიური, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 18.30 — რუსულენოვანი ცნობები რუსულ ენაზე, 19.00 — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“ — საუბარი „ორი საწარმო — ორი შედეგი“, 19.15 — ს. ნასიძე. კამერული ნაწარმოებები, 19.30 — „უკანასკნელი ცნობები, 19.40 — ლ. ი. ბრეჟნევი, „აღორძინება“. მეორე ნაწილი. კითხულობს ი. კაიეროვი (მ.), 21.05 — საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ნიჭიერ დროშოვანი ანსამბლის კონცერტი (მ.), 23.30 — მღერის ზ. სოკაკილავა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

9 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანოების შექმნის 60 წლისთავის გამო — საგელეკვიზიო მრავალსერიანები მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი“. პირველი და მეორე სერია, 13.00 — მათემატიკის გელეკურსი, 17.00 — შეკვისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — „ახალგაზრდების ხელოვნება“, 18.00 — „თქვენთვის, პაგარებო!“. მულტიპლიკაციური ფილმი, 18.10 — მოსწავლეთათვის — „უჩვეულო შეჯიბრება“, 18.30 — კინონარკვევი, 19.05 — „ჩვენი სტუმრები“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — საერთაშორისო ჟურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. საქართველოსა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. მეორე ტაიმის რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან, 21.00 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — ისტორიულ-პუბლიცისტური კინოეპოპეა „ყველაზე ძვირფასი“. ფილმი მეხუთე (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში.

მეორე პროგრამით: 17.10 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.40 — საგელეკვიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი კონგრესები“, 18.00 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია, 18.45 — „საგელეკვიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბარჩვეულებრივი კვირადღე“, 19.45 — განცხადებები.

11 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „მოგვთხრობს დანიელ გრანინი“, 12.50 — „ხალხური შემოქმედება“ — „მუსიკალური ოფტალენი“, 13.10 — სპეციალისტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „საგაზაფხულო ოლიმპიადა ან გუნდის ხელმძღვანელი“, 18.10 — საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანოების შექმნის 60 წლისთავის გამო. გადაცემა — „ამაგდარი“, 18.30 — საგელეკვიზიო დოკუმენტური ფილმი — „გამარჯვების ყვავილები“, 18.45 — „პარტიული ცხოვრება“ — „მთავარი კრება“, 19.25 — ქალებისათვის — „გიწვევთ საოჯახო კლუბი“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — კონცერტი, 21.05 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — ისტორიულ-პუბლიცისტური კინოეპოპეა „ყველაზე ძვირფასი“. ფილმი მეხუთე (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ალეგრეტა“. ფილმი „ბარკოვი“ და „ქალაქი ენერგეტიკოსებისა“, 19.45 — განცხადებები.

11 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „ბალეტური შემოქმედება“ — სოფელ მაკანუთის თვითმოქმედება, 11.35 — „თქვენთვის, პაგარებო!“ — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 12.00 — „ჩვენი სტუმარია უკრაინის ტელევიზია“, 14.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 14.35 — „კინოადაფაზე“, 15.05 — „ხუთწლედი წელი პირველი“, 15.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 15.50 — „თბილისი და თბილისელები“ — საგელეკვიზიო ჟურნალი, 16.20 — „თქვენთ